ვერბალური ნაწილი

ანალოგიები

1. ნავი : გონდოლა
ა) გუდა : ნაბადი
ბ) პიესა : ვოდევილი
გ) მსხალი : ხილი
დ) პერგამენტი : ქაღალდი

2. საბადო : სამჭედლო
ა) კალო : თონე
ბ) სცენა : წარმოდგენა
გ) იალაღი : ფარა
დ) ნექტარი : სკა

3. პერმანენტული :წყვეტილი
ა) პრაგმატული : თეორიული
ბ) კონსტრუქციული : თანმიმდევრული
გ) აბსტაქტული : წარმოსახვითი
დ) სერიოზული : დინჯი

4. ზღვა : ტალღა
ა) ცა : ვარსკვლავი
ბ) მინდორი : ბალახი
გ) ცეცხლი : ალი
დ) ქარიშხალი : ქარბუქი

5. სასხლეტი : პისტოლეტი
ა) ტყვია :თოფი
ბ) შაშხანა : რევოლვერი
გ) მცველი : პოლიცია
დ) ჩამრთველი : ძრავა

6. ვირი : ურჩი
ა) ცხენი : მშფოთვარე
ბ) ძაღლი : წრფელი
გ) ვეფხვი : შეუბრალებელი
დ) მელია : ცბიერი

წინადადების შევსება

7. ენაშია გასულიერებული მთელი ხალხი და მთელი სამშობლო. ენაა ყოვლად ცხოველი, ყოვლად უხვი და მყარი კავშირი, რომელიც ------- განსვენებულ, ცოცხალ და მომავალ თაობებს და ------- ხალხს, როგორც ერთ დიდ ისტორიულ ცოცხალ არსებას. ამიტომ, ვინც -------, ის ------- ხალხს, უკეთ რომ ვთქვათ_თავს-------.

ა) ასაზრდოებს / აერთიანებს / ენას ამახინჯებს / ებრძვის / ვნებს
ბ) ერთმანეთისაგან გამოყოფს / სხვადასხვა / ენებს ეუფლება / ეცნობა / ივითარებს
გ) აერთიანებს / კრავს / ენების გათქვეფას ქადაგებს / კლავს / იკლავს
დ) განასხვავებს / წარმოაჩენს / ივიწყებს / ივიწყებს / კარგავს

8. ღმერთო, მომეცი მოთმინება, რათა ავიტანო ის, -------; გამბედაობა, რათა შევცვალო ის, -------; და გონიერება, რათა -------!

ა) რასაც მომივლენ / რაც მომწონს / შევძლო რაც განვიზრახე
ბ)რისი შეცვლაც არ შემიძლია / რისი შეცვლაც შემიძლია / გავარჩიო პირველი მეორისაგან
გ) რაც უკვე მოხდა / რაც ახლა ხდება / შევცვალო მომავალი
დ)რისი შეცვლაც შემიძლია / რისი შეცვლაც არ შემიძლია / გავარჩიო კეთილი ბოროტისაგან

9. ელინური გაგებით, ხელოვნების საძირკველია ორი ერთმანეთის გამომრიცხველი საწყისი ბუნებაში: დიონისური და აპოლონური. პირველის დამახასიათებელია -------, რითაც ადამიანი ------- პირველქმნილ ბუნებას. ამის საპირისპიროდ, აპოლონური საწყისის მთავარი თვისებაა --------.

ა) გონიერება, ზომიერება / უპირისპირდება / ბრძნული სიდინჯე
ბ) აღვირახსნილი დროსტარება, შვება და ტანჯვა / უერთდება / ბრძნული სიდინჯე, ზომიერება
გ) ფიქრი და განსჯა / გარდაქმნის / სიკეთე ლმობიერება
დ) აღვირახსნილი დროსტარება, შვება და ტანჯვა / შეურაცხყოფს / სიშმაგე, ვნებებს აყოლა

ლოგიკა

10. მოცემულია: . არცერთი პოლიტიკოსი არ არის უპასუხისმგებლო.
. ზოგიერთი პოლიტიკოსი კარგი მეოჯახეა.
რომელი გამომდინარეობს ამ დებულებებიდან?

ა) ზოგიერთი მეოჯახე უპასუხისმგებლოა.
ბ) ზოგიერთი მეოჯახე არ არის უპასუხისმგებლო.
გ) ზოგიერთი უპასუხისმგებლო ადამიანი არ არის კარგი მეოჯახე.
დ) ზოგიერთი პოლიტიკოსი არ არის კარგი მეოჯახე და არც უპასუხისმგებლო.

11. მოცემულია წინადადებათა წყვილები:
I. არ შეიძლება საუბარი, როცა ჭამ. როცა არ ჭამ საუბრობ.
II. საბა თავის კლასში ყველაზე უკეთესად სწავლობს. კლასში არც-ერთი მოსწავლე არ სწავლობს საბაზე უკეთესად.
III. რაც არ გერგება, არ შეგერგება. რაც გერგება, ის შეგერგება.
IV. ბევრი შრომით მიზანს აუცილებლად მიაღწევ. თუ მიზანს ვერ მიაღწიე ე.ი. ბევრი არ გიშრომია.
რომელი წყვილი შედგება ერთი და იმავე შინაარსის წინადადებებისგან?

ა) I
ბ) II
გ) III
დ) IV

12. კავკასიონის არც-ერთი მწვერვალი არ არის ადვილი დასალაშქრი.
რომელია აუცილებლად მცდარი, თუ მოცემული დებულება ჭეშმარიტია?

ა) ზოგიერთი მწვერვალი, რომელიც არ მდებარეობს კავკასიონზე, არ არის ადვილი დასალაშქრი.
ბ) ზოგიერთი მწვერვალი, რომელიც ადვილი დასალაშქრია, არ მდებარეობს კავკასიონზე.
გ) ზოგიერთი მწვერვალი რთული დასალაშქრია.
დ) კავკასიონის ზოგიერთი მწვერვალი ადვილი დასალაშქრია.

13. ოთხი მეგობრიდან: ია, ნოდარი, ამირანი და მაიკო, ერთ-ერთი მასწავლებელია, მეორე გეოლოგი, მესამე მუსიკოსი და მეოთხე გემის კაპიტანი (არა აუცილებლად ამ თანმიმდევრობით). ამასთან ქვემოთ მოცემული ოთხი მტკიცებიდან მხოლოდ ერთია მართალი:

. ია მასწავლებელია.
. ნოდარი არ არის მასწავლებელი.
. ამირანი არ არის გემის კაპიტანი.
. მაიკო არ არის მასწავლებელი.

რა პროფესიისაა ამირანი?

ა) მასწავლებელი.
ბ) გემის კაპიტანი.
გ) გეოლოგი
დ) მოცემული ინფორმაცია არ არის საკმარისი ამის დასადგენად.

წაკითხული ტექსტის გააზრება

სპილოებს დიდი ადგილი უჭირავთ პოპულარულ კულტურაში, მათ უკავშირდებათ გარკვეული სახის რელიგიური წარმოდგენები და ხშირად ალტრუიზმისა* და სიბრძნის სიმბოლოდ მოიაზრებიან.

სპილოები სოციალური ცხოველები არიან. მდედრი სპილოები ერთიანდებიან ჯოგში, სადაც საშუალოდ 10 წევრია და იმართება ყველაზე გამოცდილი მატრიარქის მიერ, მამრები კი ძირითადად მარტოხელა ცხოვრებას ეწევიან. ჯოგში მყოფი მდედრები ეხმარებიან ერთმანეთს საკვების მოპოვებასა და პატარების გაზრდაში. სპილოების გაერთიანება ყველაზე მჭიდრო ურთიერთობაა ცხოველთა სამყაროში. მდედრი მხოლოდ მაშინ ტოვებს ჯოგს, როცა კვდება ან ადამიანთა ხელში ვარდება. მამრები კი ჯოგს ზრდასრულ პერიოდში ტოვებენ, როცა დამოუკიდებლად, დედის გარეშე შეუძლიათ თავის რჩენა, რაც საშუალოდ 12 წლის ასაკში ხდება.

სპილოებს ერთმანეთთან კომუნიკაცია შეუძლიათ მაშინაც, როცა რამდენიმე კილომეტრი აშორებთ ერთმანეთისგან. ეს ხდება ფეხების ბაკუნითა და დაბალი სიხშირის ბგერებით, რომელთა აღქმაც ადამიანს არ ძალუძს.

სპილოები ერთ-ერთი ყველაზე ჭკვიანი ძუძუმწოვრები არიან დედამიწაზე. მათი ტვინის წონა აჭარბებს 5კგ-ს, უფრო მეტადაა დანაოჭებული და ხვეულებიც უფრო რთულადაა მოწყობილი, ვიდრე ადამიანებისა და მაიმუნის ტვინში. მიიჩნევა, რომ სწორედ ეს ფაქტორებია სპილოს ინტელექტის მთავარი მიზეზი. მათ აქვთ მწუხარების, იუმორის, თანაგრძნობის, თანამშრომლობის, საკუთარი პიროვნების გაცნობიერების, ინსტრუმენტების გამოყენების, გართობისა და სწავლის უნარი. კორეის ზოოპარკის მობინადრე სპილომ თანამშრომლები გააოცა, როცა ბრძანებების გამეორება დაიწყო _ ხორთუმის მეშვეობით მომვლელს თავისებურად ბაძავდა საუბარში და ამ ხერხით 8 სიტყვის სწავლა მოახერხა. სპილოებს შეუძლიათ ხელოვნების ნიმუშის შექმნა _ რამდენიმე სპილოს საკუთარი თავისა და ყვავილების ხატვა ასწავლეს.

ტყვეობაში გაზრდილი სპილოები მარტივად სწავლობენ საკეტის გახსნას, ბევრი მათგანი კი ისეთ რთულ კლიტესაც ხსნის, რაც სხვა ცხოველების უმეტესობისთვის შეუძლებელია

მოუხერხებლობისა და აზროვნების სიმწირის გამო. ყოფილა შემთხვევები, როცა რამდენიმე სპილო სათვალთვალო პუნქტზე იყო დარაჯის როლში, სხვები კი კლიტეს ხსნიდნენ, ან კიდევ ერთ სპილოს თავი ავადმყოფად მოუჩვენებია და ადამიანთა ყურადღება მიუპყრია, სხვებმა კი მომენტით ისარგებლეს და გაიქცნენ.

სპილოები გამოირჩევიან ყველა დანარჩენ ცხოველზე უფრო მეტად განვითარებული ჰიპოკამპით - საფეთქლის წილის ფუძეში მდებარე ტვინის ნახევარსფეროს ხვეულით, რომელიც მონაწილეობს ემოციურ რეაქციებსა და მეხსიერების მექანიზმებში. მრავალი მაგალითი არსებობს იმისა, რომ სპილოებს გადაურჩენიათ საფრთხეში მყოფი ძაღლები და ადამიანები და ამის გამო თვითონ სერიოზულად დაშავებულან.

სპილოების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 60-80 წელია. სიკვდილი ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია მათთვის. ცნობილია მხოლოდ სამი ცხოველი - სპილო, ნეანდერტალელი და ადამიანი - რომელთა ცხოვრებაშიც სიკვდილის რიტუალებია დაფიქსირებული. თუკი სპილო ავად ხდება, ჯოგის წევრებს გარკვეული დროით მისთვის საკვები და წყალი მიაქვთ. ხოლო როცა დადგინდება, რომ ის უკვე ცოცხალი აღარაა, ჯოგში სიჩუმე ისადგურებს. ხანდახან ისინი ერთგვარ საფლავსაც კი თხრიან და გვამს მიწითა და ტოტებით ფარავენ, შემდეგ კი რამდენიმე დღის განმავლობაში ყარაულობენ. თუკი რომელიმე სპილოს მკვდართან წარსულში ახლო ურთიერთობა ჰქონდა, დეპრესიის ნიშნებს ავლენს. ისეთი ჯოგებიც კი, რომელთაც არანაირი შეხება არ ჰქონდათ მკვდარ სპილოსთან, პატივისცემას იჩენენ მის საფლავთან ჩავლისას. უფრო მეტიც, არსებობს ცნობები, რომ სპილოებს უპოვიათ გარდაცვლილი ადამიანები და იმავე წესით დაუმარხავთ.

---

* სხვის სასიკეთოდ უანგაროდ ზრუნვა, მზაობა სხვაზე ზრუნვისა საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგოდ.

14. რომელ აბზაცშია აღწერილი სპილოს მიერ სქოლიოში განმარტებული თვისების გამოვლენა ყველაზე მეტად?

ა) მე-4 აბზაცში, კორეის ზოოპარკის მობინადრე სპილოს მაგალითზე.
ბ) მე-5 აბზაცში,რომელშიც აღწერილია როგორ ახერხებენ ტყვეობიდან გაქცევას სპილოები.
გ)მე-6 აბზაცში, რომელშიც საუბარია სპილოებზე, რომლებმაც გადაარჩინეს ძაღლები და ადამიანები.
დ) მე-7 აბზაცში,რომელშიც მოთხრობილია თუ როგორ ვარდებიან სპილოები დეპრესიაში ჯოგის წევრის გარდაცვალებისას.

15. რა არ დასტურდება ტექსტში?

ა) სპილოების ჯოგს მართავს გამოცდილი მამრი სპილო.
ბ) სპილომ გამოავლინა სიტყვების გამეორების უნარი.
გ) სპილო სოციალური ცხოველია.
დ) სპილოს შეუძლია ხელოვნების ნიმუშის შექმნა.

16. რა მიმართებაა I აბზაცსა და სქოლიოს შორის?

ა) I აბზაცში მოყვანილია მაგალითი, რომელშიც გამოვლენილი თვისება ახსნილია სქოლიოში.
ბ) I აბზაცში ახსნილია თუ რატომ მოისაზრებენ სპილოს ალტრუიზმის სიმბოლოდ, სქოლიოში კი ახსნილია სიტყვა ალტრუიზმის მნიშვნელობა.
გ) I აბზაცში საუბარია სპილოების გონიერებაზე, სქოლიოში კი ახსნილია მისი მიზეზი.
დ) სქოლიოში განმარტებულია I აბზაცში ნახსენები ტერმინი.

17. რას ნიშნავს "სპილო სოციალური ცხოველია"?

ა) ჯოგში მყოფი მდედრები ერთმანეთს ეხმარებიან საკვების მოპოვებასა და პატარების გაზრდაში.
ბ) სპილოებს შეუძლიათ კომუნიკაცია, მაშინაც როცა რამდენიმე კილომეტრი აშორებთ ერთმანეთს.
გ) სპილოებს შეუძლიათ ერთმანეთთან საუბარი დაბალი სიხშირის ბგერებით.
დ) სპილოები ხორთუმის საშუალებით კარგად აღებენ კლიტეს.

18. ქვემოთ დასახელებულია ოთხი თემა, რომელიც განხილულია ტექსტში.
1. სპილოების კომუნიკაციის უნარი.
2. სიკვდილის რიტუალები სპილოების ცხოვრებაში.
3. სპილო_ხელოვანი.
4. სპილოების საზრიანობა და მოხერხებულობა.

რომელ აბზაცში ვითარდება თითოეული თემა?

ა) 1_II , 2_VII , 3_V , 4_VIII
ბ) 1_ III , 2_VII , 3_IV , 4_V
გ) 1_ III , 2_ II , 3_ V , 4_VI
დ) 1_IV , 2_ I , 3_ III , 4_ V

19. ტექსტის ავტორი V აბზაცში მოყვანილი მაგალითით ხაზს უსვამს:

ა) სპილოების შრომისმოყვარეობას.
ბ) სპილოების კარგ მეხსიერებას.
გ) საზრიანობას და მოხერხებულობას.
დ) ერთგულებას და თავგანწირულობას.

20. როგორ დაასათაურებდით ტექსტს?

ა) "რელიგიური რიტუალები სპილოების ცხოვრებაში"
ბ) "სპილოები ჩვენი მეგობრებია"
გ) "პარადოქსები სპილოთა სამყაროში"
დ) "სპილოები_გონიერი ძუძუმწოვრები"

ანალოგიები

21.ხმელეთი:კუნძული
კენკრა :
ა) მცენარე
ბ) მოცვი
გ) სამკურნალო
დ)ბუჩქი

22. კატალიზატორი : შენელება
საკვები
ა) მაძღრობა
ბ) სიხარბე
გ) შიმშილი
დ) კმაყოფილება

23. დეპორტი : განდევნა
იმობილიზაცია :
ა) უძრაობის შექმნა
ბ) ჯარში გაწვევა
გ) სპეციალობის შეცვლა
დ) პენსიაზე გასვლა

24. ილუზორული : ილუმინატორი
პერფომანსი :
ა) პარადოქსი
ბ) წარმოდგენა
გ) პრეზენტაცია
დ) პერიფრაზი

25. დეფიციტი : დანაკლისი
პიონერი :
ა) წარმატებული
ბ) ნორჩი
გ) მოწინავე
დ) პასიური

26. ბოტანიკოსი : ფლორა
კინოლოგი:
ა) კინო
ბ) ძაღლი
გ) კატა
დ) სპორტი

წინადადების შევსება

27. ნიჭიერების (და მით უმეტეს გენიალურობის) ფსიქიკური თავისებურებანი ვლინდება ------, მის კომბინაციურ თვისებებში. ხატოვნად რომ ვთქვათ, ტალანტი _ მიზანში მოხვედრაა, ------; ხოლო გენიალობა _ იმ მიზანში მოხვედრაა, -------.

ა) ტრადიციულ აზროვნებაში, ვნებების სრულ კონტროლში, / რომელიც მიზნად აქვს დასახული ადამიანს / რომელიც კაცობრიობამ დაისახა მიზნად
ბ) მაღალგანვითარებულ ინტელექტში, არასტანდარტულ აზროვნებაში, ძლიერ ინტუიციაში / რომელსაც იშვიათად თუ მოახვედრებს ვინმე / რომელიც ჯერ არავის დაუნახავს
გ) ყოველდღიურობაში, სტანდარტულ აზროვნებაში / რომელსაც დიდი შრომით მოახვედრებ / რომელიც ძალიან რთულია
დ) აზროვნების პროცესში / რომელიც არც ისე შორსაა / რომელიც ძალიან შორსაა

28. "ყველა დროისა და ხალხის უდიდესი ადამიანების" ჩამონათვალი რუსეთის საზოგადოებრივ აზრში ------- შედგება _ მეფეების, ბელადების, მხედართმთავრებისაგან, რომელთა სიაც შიგადაშიგ -------. მიუხედავად ამისა, ამ სიაში ------- შეყვანა ------- ფაქტია.

ა) კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებისაგან / პოეტებითაა გაჯერებული / პუშკინის / პარადოქსული
ბ) უმთავრესად მაღალი წრის წარმომადგენლებისაგან / შევსებულია მდაბიო წარმოშობის ადამიანებითაც / ლომონოსოვის / გასაკვირი
გ) ხალხის უსაყვარლესი გმირებისაგან / მეფეებითაცაა შვსებული / პეტრე I-ის / ლოგიკური
დ)უმეტესად "დიდ ბოროტმოქმედთაგან" / სახელმწიფო კულტურის სიმბოლოებითაა გაზავებული / ჰიტლერის / მაინც შოკისმომგვრელი

29. ------- ადამიანების კატეგორია, რომლებსაც -------, არამედ ------- მოულოდნელთან შეხვედრა.

ა) არ არსებობს / სიახლე შიშს არ გვრის /არ სიამოვნებს
ბ) არსებობს / უბრალოდ მოგზაურობა კი არ ანიჭებს სიამოვნებას / მოგზაურობის დროს დაბრკოლების გადალახვა და
გ) არ არსებობს / მოგზაურობა ანიჭებს სიამოვნებას / მოსწონთ მოგზაურობა და
დ) არსებობს / შრომა კი არ ანიჭებს შვებას / შრომის პროცესში

30.ნეიტრალური სახელმწიფო ვალდებულია -------, ამიტომ მას ------- გახდეს რომელიმე------- . თუმცა ნეიტრალიტეტი ------- არ გულისხმობს _ ნეიტრალურ ქვეყანას ------- საკუთარი ინტერესები.

ა) დაეხმაროს სხვა სახელმწიფოებს /შეუძლია / სამხედრო კავშირის წევრი / ომში ჩაურევლობას / შეუძლია ბრძოლით დაიცვას
ბ) ჰქონდეს ძლიერი ეკონომიკა /არ შეუძლია / ეკონომიკური გაერთიანების წევრი / მარტოდ ყოფნას არ გულისხმობს / ყოველთვის აქვს
გ) შეინარჩუნოს მიუმხრობლობისა და დამოუკიდებლობის პოლიტიკა / შეუძლია / პოლიტიკური კავშირის წევრი / დამოუკიდებლობას / არ აქვს
დ) შეინარჩუნოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა /არ შეუძლია /ეკონომიკური გაერთიანების წევრი / პასიური საგარეო პოლიტიკის გატარებას / შეუძლია აქტიურად დაიცვას

ლოგიკა

31. ცნობილია, რომ:

- TV1-ის ჟურნალისტები არ ცრუობენ, მაგრამ ამომწურავ ინფორმაციასაც არასოდეს გვაწვდიან.
- TV2-ის ჟურნალისტები არასოდეს გვაწვდიან ამომწურავ ინფორმაციას, თანაც შეიძლება სიცრუე შემოგვაპარონ.

ქვეყანაში ლარის კურსი გამყარდა, მიუხედავად ამისა, ნავთობპროდუქტების ფასი არ შემცირებულა. ერთ-ერთი არხის საინფორმაციო სამსახურმა გადმოსცა ცნობა, რომ ლარის კურსის გამყარებასთან ერთად ბენზინის ფასმაც მოიკლო.
აქედან აუცილებლად გამომდინარეობს, რომ ეს არხი:

ა) შეიძლება იყოს TV1, მაგრამ არ შეიძლება იყოს TV2.
ბ) შეიძლება იყოს TV2, მაგრამ არ შეიძლება იყოს TV1.
გ) შეიძლება იყოს როგორც TV1, ასევე TV2.
დ) არ შეიძლება იყოს არც TV1, და არც TV2.

32. ცნობილია, რომ:

- ხარისხიანი ავეჯის დასამზადებლად აუცილებელია მასალა არ იყოს ნედლი.
- თუ მასალა 2 წლის დამზადებულია, მაშინ ის ნედლია.

ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით დაასკვნეს:
"თუ მასალა 2 წელზე მეტი ხნის დამზადებულია, მაშინ მისგან შეიძლება ხარისხიანი ავეჯის დამზადება."
ჩამოთვლილთაგან რომელი ააშკარავებს მსჯელობის არამართებულობას?

ა) ზოგიერთი ავეჯის დამზადება ნედლი მასალითაც შეიძლება.
ბ) შეიძლება მასალა 2 წლის დამზადებული იყოს, მაგრამ მაინც არ იყოს ნედლი.
გ) შეიძლება მასალა 3 წლის დამზადებული იყოს, მაგრამ მაინც არ იყოს მშრალი.
დ) ავეჯის ხარისხს მასალის ხარისხი განსაზღვრავს.

33. მოცემულია:
I ქუთაისის უნივერსიტეტის კავეენის გუნდის ყველა წევრი მხიარულია.
II ქუთაისის უნივერსიტეტის ტურიზმის სპეციალობის ყველა სტუდენტი მხიარულია.
III ქუთაისის უნივერსიტეტში მხოლოდ ტურიზმის სპეციალობის სტუდენტები სწავლობენ გეოგრაფიას.
IV ქუთაისის უნივერსიტეტის კავეენის გუნდის ზოგიერთი წევრი სწავლობს გეოგრაფიას.
რომელი წინადადებები უნდა ავიღოთ წანამძღვრებად, რათა დავასკვნათ, რომ: <u>ქუთაისის უნივერსიტეტის კავეენის გუნდის წევრებს შორის ტურიზმის სპეციალობის სტუდენტებიც არიან.</u>

ა) საკმარისია I, II, IV წინადადებები.
ბ)საკმარისია I და III წინადადებები.
გ) საკმარისია III დ IV წინადადებები.
დ) აუცილებელია ოთხივე წინადადება.

34. მთავარი მწვრთნელის შეცვლის შემდეგ, გუნდმა ეროვნულ ჩემპიონატში ჩატარებული ხუთი მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო. ამის შემდეგ პრესაში გამოჩნდა განცხადებები, რომ მთავარი მწვრთნელი კვლავ არასწორად იყო შერჩეული.
ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტი <u>არ დააყენებს ეჭვქვეშ</u> ჟურნალისტების დასკვნის მართებულობას?

ა) უკანასკნელი წლების განმავლობაში გუნდი ბოლო ადგილზე გადის.
ბ) წინა სეზონში გუნდის მიერ მოგებული თამაშების შეფარდება წაგებულთან იყო 3/5.
გ) გუნდის წამყვანმა მოთამაშემ ტრავმის გამო გამოტოვა უკანასკნელი შვიდი თამაში.
დ) ევროლიგის თამაშების გამო, ლეგიონერები მხოლოდ კიდევ სამი თამაშის შემდეგ შემოუერთდებიან ეროვნულ ჩემპიონატს.

წაკითხული ტექსტის გააზრება

ძველი ქართული კულტურის (ლიტერატურის, ხელოვნების, ფილოსოფიისა და სხვა) განვითარებას, უპირველეს ყოვლისა, ხელს უწყობდა სკოლა, რომელიც ადრეფეოდალური პერიოდიდანვე არსებობდა ეკლესია-მონასტრებთან. ეს იყო სასულიერო აღზრდა-განათლების უმნიშვნელოვანესი კერა.

როგორც აკად. კ. კეკელიძე აღნიშნავს, ჩვენში ქრისტიანობის გავრცელების პერიოდში გაბატონებული იყო ნიზიბინის სკოლა. ცხადია, სწავლებაც ნიზიბინის სკოლის პროგრამით იქნებოდა მოწყობილი.ნიზიბინის სკოლისთვის დამახასიათებელი იყო პრაქტიციზმი და მთავარ საგნად ითვლებოდა ეგზეგეტიკა (ბიბლიური ტექსტის შესწავლა), ჰომილეტიკა (ეკლესიაში საჯაროდ სწავლა- მოძღვრების წარმოება), ლიტურგიკა (ღვთისმსახურების შესრულება და საეკლესიო გალობა). ამ სკოლის მიზანი იყო ეკლესიის მსახურთა მომზადება.

ძველი სომეხი ისტორიკოსის ცნობით, ივერიის მეფე ბაკურის ინიციატივით შემოღებული ყოფილა მოზარდების ჯგუფური სწავლება მშობლიურ ენაზე. სასულიერო სკოლები ჩვენში ყოფილა აგრეთვე VIII-IX საუკუნეებშიც, რასაც ადასტურებს გ. მერჩულეს თხზულება „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“.

საეკლესიო სკოლების მთავარი ღირსება ის არის, რომ იგი ემსახურებოდა ქართული წერა-კითხვის ხალხში გავრცელებას, თუმცა მათი ძირითადი დანიშნულება იყო სასულიერო პირთა მომზადება რელიგიური წიგნების შესაქმნელად. ამიტომ იყო, რომ სამონასტრო სკოლა ამზადებდა არა მარტო ღვთისმსახურთ, არამედ მთარგმნელებს, გადამწერთ, წიგნის მკაზმავებსა და სხვ. წიგნის შემქმნელებს, გარდა ღვთისმსახურებისა, ასწავლიდნენ გრამატიკასაც, რაც აუცილებელი იყო სწორი წერისა და საღვთო წიგნების უკეთ გაგებისათვის. მონასტერთან არსებულ სკოლებში მოსწავლეები ეუფლებოდნენ აგრეთვე შრომით ჩვევებს, რაც მათ სჭირდებოდათ თავის გამოსაკვებად.

ცნობილია, რომ VI საუკუნეში ჩვენში მოვიდნენ ასურელი მამები, რომელთაც ხელი მოჰკიდეს სამონასტრო მშენებლობას. ამ საეკლესიო მოღვაწეებს მონასტრების მშენებლობის არა მარტო იდეები, არამედ მშენებლობის ცოდნა გამოცდილებაც ჩამოჰქონდათ. სამონასტრო ცხოვრებამ და მშენებლობამ განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის პერიოდში (759-861 წწ.). გრიგოლი გვევლინება არა მარტო როგორც საეკლესიო მოღვაწე, არამედ როგორც „მოძღვარი მრავალთა მოწამეთა“.

სამონასტრო ცხოვრებაში განსაკუთრებული პედაგოგიური როლი ეკისრებოდა მოძღვარს, მოძღვარი იყო მეცნიერი ბერი, რომელსაც მოწაფეები ჰყავდა და გარდა რელიგიურ-სარწმუნოებრივი დოგმებისა, ამ მოწაფეებს რომელიმე ხელობასაც (ხელოვნებას) ასწავლიდა.

V-VI საუკუნეების პალიმფსესტები ცხადად მიგვანიშნებს ადრეფეოდალურ ეპოქაში წიგნის დამზადების მაღალი გემოვნების შემუშავებაზე. მთარგმნელთა, გადამწერთა, მმოსავთა, მკაზმავთა და საერთოდ წიგნის შემქმნელი ოსტატების პარალელურად სამონასტრო სკოლებში ამზადებდნენ ქვაზე რელიეფურად ან ჩაჭრით წამწერლებს, მჭედლებს, ხარაზებს, ხუროებს, „ნავის მომქმედთ„ (ნავების მკეთებლებს).

მონასტრებმა თავის დროზე უდიდესი როლი შეასრულეს მწიგნობრული ცოდნის დაგროვება-გავრცელებაში, მხატვრობის, არქიტექტურის განვითარებაში, სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო ცოდნის შემუშავებასა და თაობიდან თაობაზე გადაცემაში. ასეთი ვითარება გრძელდებოდა შემდგომშიაც, როცა მონასტრებში სამეურნეო საქმეების მოსაგვარებლად ერისკაცებს იწვევდნენ. მონასტრის „ძმობაში“ მყოფთ ხელოსანთა შრომის გვერდით ჩნდება ერისკაც-დაქირავებულთა და მსახურ-ხელოსანთა შრომაც.

35. ტექსტიდან გამომდინარე სამონასტრო სკოლების ძირითადი დანიშნულება არის:

ა) ბიბლიური ტექსტის შესწავლა.
ბ) ღვთისმსახურებისა და საეკლესიო გალობის შესრულება.
გ) ეკლესიებში საჯაროდ სწავლა-მოძღვრების წარმოება.
დ) სასულიერო პირთა მომზადება რელიგიური წიგნების შესაქმნელად.

36. ჩამოთვლილთაგან რომელი აბზაცი ასახავს მართებულად II და IV აბზაცებს შორის მიმართებას?

ა) II აბზაცში გადმოცემული კონკრეტული სკოლის მაგალითი IV აბზაცში გავრცობილია ზოგადად.
ბ) ორივე აბზაცში განხილულია სამონასტრო სკოლების კონკრეტული მაგალითები.
გ) IV აბზაცში მოყვანილია კონკრეტული სკოლის მაგალითი, რომელიც გავრცობილია II აბზაცში.
დ) ორივე აბზაცში ჩამოყალიბებულია საეკლესიო სკოლების კანონები.

37. ჩამოთვლილთაგან რომელი დასტურდება VI აბზაცში?
ა) სამონასტრო ცხოვრებაში მოძღვარი იყო მეცნიერი, ბერი, რომელიც რელიგიურ-სარწმუნოებრივ დოგმებსა და რომელიმე ხელობასაც ასწავლიდა.
ბ) სამონასტრო სკოლების მოსწავლეების მთავარი მიზანი იყო ხელობის შესწავლა.
გ) სამონასტრო სკოლებში ასწავლიდნენ მხოლოდ რელიგიურ-სარწმუნოებრივ საკითხებს.
დ) მოძღვარი იყო მეცნიერი ბერი.

38. მეხუთე აბზაცის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ:

ა) ქართველმა მოძღვრებმა ასურელ მამებთან ერთად დაიწყეს საეკლესიო მშენებლობა.
ბ) VI საუკუნეში ასურელი მამები ქართველების თხოვნით აშენებდნენ ეკლესია-მონასტრებს.

გ) ასურელმა მამებმა VI საუკუნეში ქართველ საეკლესიო მამებს მიაწოდეს იდეები ეკლესია-მონასტრების მშენებლობისათვის.
დ) ასურელმა მამებმა დაიწყეს საქართველოში სამონასტრო მშენებლობა, ჩამოიტანეს იდეები და ცოდნა-გამოცდილება.

39. რა არის ტექსტის მიზანი?

ა) აჩვენოს ასურელი მამების როლი ქართული კულტურის განვითარებაში.
ბ) დაგვანახოს სამონასტრო სკოლების როლი ქართული კულტურისა და განათლების განვითარებაში.
გ) დაგვანახოს ნიზიბონის სკოლის როლი ქართული კულტურის განვითარებაში.
დ) მოგვითხროს, როგორ ვრცელდებოდა ქართული წერა-კითხვა ხალხში.

40. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი სათაური შეესაბამება ტექსტს?

ა) საეკლესიო სკოლების მთავარი ღირებულება
ბ) ეკლესიის როლი სამონასტრო მშენებლობაში
გ) ნიზიბინის სკოლა
დ) სამონასტრო სკოლები

მათემატიკური ნაწილი

რაოდენობრივი შედარება

	A	B	
41	$\sqrt{25,1}$	5,1	(ა) (ბ) (გ) (დ)
42	მანძილი A და B პუნქტებს შორის 3მილია, ხოლო B და C პუნქტებს შორის კი 4მილი		(ა) (ბ) (გ) (დ)
	5 მილი	მანძილიA დაC პუნქტებს შორის	
43	$-4 \le x \le -2$		(ა) (ბ) (გ) (დ)
	$1/x^3$	$1/x^5$	
44	1ინჩი=2,5სმ		(ა) (ბ) (გ) (დ)
	ლოკოკინას სიჩქარე, რომელიც 5 ინჩს გადის 2 წუთში	$^5/_{48}$ სმ/წმ	
45			(ა) (ბ) (გ) (დ)
	180^0-m	180^0-n	
46	3,(6)·0,(3)	$^{11}/_9$	(ა) (ბ) (გ) (დ)

ამოცანები

47. თუ $a > 2$ რომელია ყველაზე მცირე?

ა) $\frac{2}{a}$ ბ) $\frac{a}{2}$ გ) $\frac{2}{a+1}$ დ) $a + \frac{1}{a}$ ე) $\frac{2}{a-1}$

48. წერტილი კოორდინატებით (-3; 4) ეკუთვნის ნახევარწრეწირს, რომლის ცენტრიც კოორდინატთა სათავეშია. რას უდრის ამ ნახევარწრის ფართობი?

ა) $12{,}5\pi$ ბ) $14{,}5\pi$ გ) 25π დ) 16π ე) 9π

49. ტოლგვერდა სამკუთხედი, რომლის გვერდის სიგრძეა 3 სმ, დაყოფილია ტოლგვერდა სამკუთხედებად, რომელთა გვერდის სიგრძეა 1 სმ. მაქსიმუმ რამდენი ასეთი სამკუთხედის ჩახაზვაა შესაძლებელი მოცემულ სამკუთხედში?

ა) 3 ბ) 6 გ) 9 დ) 12 ე) 15

50. წყლის დონე აკვარიუმში რომლის ფსკერის ზომებია 9,08 დმ და 5 დმ, უნდა აიწიოს 1 დმ_ით. რამდენი გალონი წყალია საჭირო? (1 გალონი=4,54ლ)

ა) 1 ბ) 2 გ) 5 დ) 10 ე) 20

51. პიკნიკზე საუზმე ეყოფა ან 20 მოზრდილს ან 32 ბავშვს. თუ პიკნიკზე იქნება 15 მოზრდილი, კიდევ რამდენ ბავშვს ეყოფა საუზმე მათთან ერთად?

ა) 6 ბ) 8 გ) 12 დ) 16 ე) 18

მონაცემთა ანალიზი

ცხრილში მოცემულია მე-11 კლასის გამოსაშვები გამოცდების სტატისტიკური მონაცემები. მაგალითად, ფიზიკის გამოცდაზე რეგისტრირებულთა რაოდენობაა 40020, მათგან გამოცდაზე გავიდა 97,5%. გამოცდაზე გასული მოსწავლეების 6,5%-მა გამოცდა ვერ ჩააბარა. ხოლო 1,45% -მა მიიღო 8 ან უფრო მაღალი შეფასება.

საგანი	რეგისტრირებულთა რაოდენობა	გამოცდაზე გავიდა	ჩაიჭრა: მიიღო 0-5,4 ქულა	მიიღო 8-10ქულა
გეოგრაფია	40005	98,5%	1,5%	10,5%
ბიოლოგია	40000	98%	4%	6,5%
ქიმია	39990	98,2%	5%	7,5%
ფიზიკა	40020	97,5%	6,5%	1,45%

ცხრილის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ ორ კითხვას:

52. რამდენმა მოსწავლემ ვერ ჩააბარა ბიოლოგიის გამოცდა?

ა)1600 ბ) 1550 გ) 1568 დ) 1658 ე) 1546

53. რამდენჯერ მეტია მათი რაოდენობა ვინც ქიმიაში 5,5 ქულიდან 8 ქულამდე მიიღო, მათთან შედარებით ვინც ქიმიაში გამოცდა ვერ ჩააბარა?

ა) 1,5-ჯერ ბ) 7,5-ჯერ გ) 11,5-ჯერ დ) 14,5-ჯერ ე) 17,5-ჯერ

ამოცანები

54. მბეჭდავი იყენებს ფურცლებს რომლის სიგრძეა 12სმ, ხოლო სიგანე 9სმ. იგი 1სმ_იან არეებს ტოვებს აქეთ-იქით, ხოლო 1,5სმ_იან არეებს ზემოთ და ქვემოთ. ფურცლის რა ნაწილს იყენებს მბეჭდავი?

ა) 7/12 ან 1/3 ბ) 5/9 ან 3/4 გ) 3/5 ან 9/11 დ) 1/7 ან 5/7 ე) 7/12 ან 5/9

55.

x	0	1	2	3	4
$x!$	0	2	1	1	2
x^*	1	0	2	1	0

რას უდრის $(3!)^*+(4^*)!$

ა) 0 ბ) 1 გ) 2 დ) 3 ე) 4

56. გივიმ შეიძინა ქურთუკი, ხელთათმანი და ქუდი. სულ გადაიხადა 140 ლარი. ქურთუკი 90 ლარით მეტი ღირს, ვიდრე ხელთათმანი. ქურთუკი და ხელთათმანი ერთად 120 ლარით მეტი, ვიდრე ქუდი. რამდენი ლარი ღირს ქურთუკი?

ა) 100 ბ) 115 გ) 105 დ) 107 ე) 110

57. რომბის პერიმეტრი ტოლია იმ ტოლფერდა სამკუთხედის პერიმეტრის რომლის გვერდებია 8სმ და 4სმ. რამდენი სანტიმეტრის ტოლია რომბის გვერდი?

ა) 5 ბ) 4 გ) 7 დ) 6 ე) 3

58. 67 ბიჭი და 41 გოგონა 3 რიგად დგანან, ისე რომ თითოეულ რიგში ბავშვების ერთნაირი რაოდენობაა. პირველ რიგში 5_ჯერ მეტი ბიჭია, ვიდრე გოგონა. მეორე რიგში კი 14_ით მეტი ბიჭია, ვიდრე გოგონა. რამდენი ბიჭია მესამე რიგში?

ა) 10 ბ) 15 გ) 12 დ) 17 ე) 13

59. ოთხ ერთნაირ ბარათზე აწერია ციფრები: 1, 2, 3, 4. რა არის ალბათობა იმისა, რომ ნებისმიერად არჩეულ სამ ბარათზე რიცხვების ჯამი იყოფა 3_ზე?

ა) 0,5 ბ) 0,3 გ) 0,4 დ) 0,2 ე) 0,1

60. კვადრატის დიაგონალია x. თუ კვადრატის დიაგონალს გავზრდით 2 ერთეულით, რა სიგრძის იქნება მიღებული კვადრატის გვერდი?

ა) $x+2$ ბ) $(x+2)\sqrt{2}$ გ) $\frac{(x+2)\sqrt{2}}{4}$ დ) $(x+2)2$ ე) $\frac{(x+2)\sqrt{2}}{2}$

რაოდენობრივი შედარება

	A	B	
61	39^2+78+1	1600	(ა) (ბ) (გ) (დ)

62	ხუთკუთხა პირამიდის წვეროებისა და წიბოების ჯამი პრიზმის წიბოები	(ა) (ბ) (გ) (დ)
63	$-5a + 4 \geq 2a + 3$ $-2a$ $-\frac{2}{7}$	(ა) (ბ) (გ) (დ)
64	35კმ² ფართობი 1:3000000 მასშტაბის რუკაზე 55კმ² ფართობი 1:4000000 მასშტაბის რუკაზე	(ა) (ბ) (გ) (დ)
65	10^7-5-ის 9-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი $64a$-2-ის a-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი $a \geq 3$	(ა) (ბ) (გ) (დ)
66	ABCD ოთხკუთხედში AB=2BC და A კუთხე მართია კუთხე B კუთხე D	(ა) (ბ) (გ) (დ)

ამოცანები

67. ყინულის განყოფილება მაცივარში 80სმ სიღრმის, 50სმ სიგრძის და 40სმ სიგანისაა. რამდენი ყინულის კუბი ჩაეტევა მასში, თუ კუბის წიბო 2დმ_ის ტოლია?

ა) 16 ბ) 20 გ) 24 დ) 80 ე) 160

68. თუ $x = 1 + 3^{\alpha}$ და $y = 1 + 3^{-\alpha}$, მაშინ $y =$

ა) $x - 1$ ბ) $\frac{x}{x+1}$ გ) $\frac{x}{x-1}$ დ) $x + 1$ ე) x

69. 

ABCD ტრაპეციაში DC=

ა) $y - x$ ბ) $y + x$ გ) $y + 2x$ დ) $2y + x$ ე) $2(x + y)$

70. თბომავალმა მანძილი ორ ნავსადგურს შორის დინების მიმართულებით გაიარა 4სთ-ში, ხოლო დინების საწინააღმდეგო მიმართულებით კი 5სთ-ში. რა მანძილია ნავსადგურებს შორის, თუ დინების სიჩქარეა 2კმ/სთ?

ა) 100 ბ) 80 გ) 60 დ) 95 ე) 76

მონაცემთა ანალიზი

სვეტოვან დიაგრამაზე ნაჩვენებია, რამდენი ათასი ვიზიტორი შემოვიდა 2011 და 2014 წლებში სხვადასხვა მიზნით: ტურისტულად, ტრანზიტით და სხვა მიზნით. ხოლო წრიული დიაგრამა გვიჩვენებს 2014 წელს ტურისტთა შორის რამდენი პროცენტი იყო შემოსული ევროპიდან, ამერიკიდან, რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.





მონაცემების მიხედვით უპასუხეთ შემდეგ ოთხ კითხვას:

71. რამდენი პროცენტით მოიმატა ვიზიტორების რაოდენობამ 2014 წელს 2011 წელთან შედარებით?

ა) $13\frac{2}{21}$%-ით ბ) 40%-ით გ) $19\frac{1}{21}$%-ით დ) 15%-ით ე) $24\frac{4}{23}$%-ით

72. რამდენი ათასი ტურისტი შემოვიდა 2014 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან?

ა) 600 ბ) 480 გ) 500 დ) 650 ე) 700

73. a რიცხვი გვიჩვენებს ვიზიტორთა რა ნაწილს შეადგენდა 2011 წელს ტრანზიტით შემოსულები. მაშინ:

ა) $\frac{2}{3} < a < 1$ ბ) $\frac{1}{7} < a < \frac{1}{5}$ გ) $\frac{3}{4} < a < \frac{4}{5}$ დ) $\frac{4}{5} < a < \frac{5}{6}$ ე) $a = \frac{6}{11}$

74. ნავარაუდევია 2015 წლისთვის ვიზიტორთა რაოდენობის მაქსიმუმ 3%-იანი ზრდა. რამდენი ათასი ტურისტის შემოსვლაა ნავარაუდევი 2015 წლისთვის?

ა) 1545 ბ) 1600 გ) 1350 დ)1245 ე) დადგენა შეუძლებელია

ამოცანები

75. x რიცხვის 10%-ია 23. რას უდრის $10x$-ის 1%?

ა) 2,3 ბ) 23 გ) 46 დ) 320 ე) 33

76. ვთქვათ, t და p დადებითი მთელი რიცხვებია. რამდენი მთელი რიცხვია მეტი tp ნამრავლზე და ნაკლები t(p+1) ნამრავლზე?

ა) 1 ბ) p+1 გ) p-1 დ) t+1 ე) t-1

77. ნიკომ გამოთვალა, რომ თუ იგი ივარჯიშებს t საათის განმავლობაში, მაშინ ღამით დაძინებისთვის დაკარგავს 10+10t წუთს (დაღლილობის გამო). ნიკოს უნდა ივარჯიშოს რაც შეიძლება ხანგრძლივად იმ ანგარიშით, რომ ღამით უძილობაში არ დაეკარგოს ნახევარ საათზე მეტი. რამდენი საათი შეუძლია ივარჯიშოს ნიკოს?

ა) 0,5 ბ) 1 გ) 2 დ) 2,5 ე) 3

78. რას უდრის იმ კვადრატის პერიმეტრი, რომლის ფართობი უდრის წრის ფართობს, რომლის სიგრძე არის 1?

ა) 4π ბ) $\frac{2}{\sqrt{\pi}}$ გ) $\frac{1}{2\pi}$ დ) $\frac{1}{\pi}$ ე) 1

79. რიცხვი 300 გაყოფილია ორ ნაწილად ისე, რომ მათ შორის სხვაობა უდრის მათი საშუალო არითმეტიკულის მესამედს. რას უდრის დიდი ნაწილის შეფარდება პატარასთან?

ა) 7:5 ბ) 5:1 გ) 4:3 დ) 2:1 ე) 3:1

80.



ხუთ ცალ გორგოლაჭზე ჩამოცმული ღვედი მოძრაობს ისრით ნაჩვენები მიმართულებით. რამდენი გორგოლაჭი ბრუნავს საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით?

ა) 1 ბ) 2 გ) 3 დ) 4 ე) 5

შავი სამუშაოსათვის